# ივერია

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, აგჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890



„თავადი ანტონ ნიკოლოზის ძე ღორთქიფანიძე უმორჩილესად სთხოვს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ მობრძანდნენ შაბათს, 29 დეკემბერს, დილის 10 საათზედ წმინდა გიორგის ეკკლესიაში (ქ. ქუთაისს), სადაც იქნება გარდახდილი ჟამის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მისის მეუღლის კნეინა ელენე დიმიტრის ასულის ღორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად“ (2—2)

სახალხო თეატრი

ოლგას ქუჩაზედ, სამგზავრო ფოსტის გვერდით, მებურნუთოვის მაჰულში.

კვირას, 30 დეკემბერს,

ბენეფისი ნ. რ. დიდებულიძისა

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

სამი ვოდევილი

I

აჩირებულია

II

სუსტი მხარე

III

გულმა იგრძნო

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. დიდებულიძისა, მძინარიშვილისა, ციციშვილისა; ბბ. ნებიერიძე, გამყრელიძე, ადამიძე და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენნი 30 კ. გალერეა: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

კვირას გაიმართა გამოფენა მხატვარის გიგო გაბაშვილის სურათებისა სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლებში. დათვალიერება შეიძლება დღისით 12 საათიდამ 4-მდე და საღამოთი 6 საათიდამ 9 მდე. ფასი დათვალიერებისათვის დილით 20 კაპ., საღამოთი 30 კაპ. (3—3)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 1 იანვარს,

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება პირველად:

ჰანრიხ IV

ისტორ. დრამა 4 მოქმედ. კ. მესხისა.

II

ადვოკატთან

ვოდევილი 1 მოქმედ. ვ. გუნიასი.

მოთამაშენი: ქქ-ნი საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, ტატიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, და სხვ.

დასასრულ

ლეკური

ითამაშებენ საუკეთესო მოცეკვარნი ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე

კვირას, იანვრის 6-ს, 1891 წ.

ტფილისის «კრუჟოკის» დარბაზში

დანიშნულია

ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ.

ბალი დაიწყება საღამოს 9 საათზედ.

ფასი ბილეთისა 2 მანათი.

ქალებს შეუძლიანთ გულ-ამოუჭრელის კაბებითაც მობრძანდნენ.

ბილეთები ისყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან.

კვირას, 30 დეკემბერს, ტფილისის საზრანიის დარბაზში ბ-ნი ყარა-მურზა გაჰმართავს თავისის ხოროთი

კონცერტს

(2—1)


## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, კავკასიის მთავარ-მართებლის გენერალ-ადიუტანტის შერემეტიევის პეტერბურგიდგან დაბრუნებას მოელიან თებერვლის დამდეგს.

*** ამ დღესასწაულებში პოლიციამ შეიპყრო 208 კაცი და ოთხი ქალი, რომელთაც პასპორტები არა ჰქონდათ და უსაქმოდ დაიარებოდნენ.

*** ტფილისის ქალაქის პოლიციას ამ დღესასწაულებში წესიერების დაცვისათვის დასახმარებლად ჯარისკაცები დაუნიშნეს.

*** ხვალ, 30 დეკემბერს, ტფილისის კლუბის დარბაზში დანიშნულია კონცერტი ბ-ნ ყარა-მურზასი და მისის ხოროსი.

*** ტფილისში განუზრახავთ დაარსონ ბიბლიოთეკა და უგზავნონ უფასოდ დიდის ხნის ვადით წიგნები ამ ბიბლიოთეკიდამ სოფლის სკოლის მასწავლებლებს.

*** წარსულს სამშაბათს, 25 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ქ-ნ მ. ავალიშვილის საბენეფისოდ წარმოადგინა ახალი პიესა პ. უმიკაშვილისა, ოთხ მოქმედებიანი მელოდრამა „დამარცხებულნი“ და ვოდევილი „ცელქები“. თეატრში საზოგადოება საკმაოდ ბევრი დაესწრო და პიესაც ძალიან მოიწონეს. მობენეფისეს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს: ოქროს საათი, ყვავილების კალათა და ორიოდე დაფნის გვირგვინი. დაწვრილებით შემდეგ.

*** ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მოფენილია ეხლა შემნახველის კასსებით, სადაც ღარიბს ხალხს შეუძლიან მცირეოდენი ნაწილი თავის ნაჭირნახულევისა მიაბაროს შესანახად და სასარგებლოდ. განსაკუთრებით გაიდგა ფეხი ამ გვარმა კასსებმა ინგლისში. ამ ქვეყანაში, ამ ათის წლის განმავლობაში, კასსებში შესანახად შეტანილმა ფულმა ერთი ათად და ოცად იმატა. ეს გარემოება მით აიხსნება, რომ ინგლისში შემნახველი კასსები დამართულია პატარა-პატარა სოფლებშიც-კი. სიახლოვე კასსისა დიდად უადვილებს მსურველს ფულის მიტანას და ჩაბარებას. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენმა მთავრობამაც განიზრახა დაეარსებინა ფოსტა-ტელეგრაფის სადგურებთან შემნახველი კასსები, რომ გაეადვილებინა მსურველებისთვის ფულის შეტანა. აქამდისინ, ვინც-კი მოისურვებდა ფულის შეტანას, ქალაქში უნდა წასულიყო და

# ფელეტონი

## საშობაო მოთხრობა

### სტუმრები

(დასასრული *)

—აბა ღმერთი და ბედი, აბა ვინ ამოიღებს გვეუბნებოდა ბერიძე: უყურე ამ სულელს, რო დამავიწყდა მეთქვა: საუფროსოში უწილოდ მე-კი არ მერგებაა ერთი ორაგული, თქვენი ბერიძე გენაცვალოსთ. ეჰ, რად არ აქამდის მამაგონდა, ეხლა რაღას ვერგები ან მე?! აბა, ამოიღეთ ვისაც გინდა, რომ ეგ დიდი ორაგული გერგოსთ. თევზები მწკრივად დავაწყეთ და წილი ღვთისომ „დააყარა“, ამოიღებდა თითო ჩხირსა და დასდებდა სათითაოდ თევზზე. ღვთისოს იღბალმა გასჭრა: დიდი კალმახი იმას ერგო,—სიხარულის ალმა გადაჰკრა პირზე და ორის ხელით დაეტანა. ჩვენ ავჯანდით და გვინდოდა ისევ ხელმეორედ „წილის დაყრა“, მაგრამ ბერიძემ დაგვიშალა. ბაბალე სიხარულით ფეხზე აღარა დგებოდა:—აი ვენაცვლე ღმერთსა, აი ვენაცვლე იმ მამის ჩემის სალოცავსა, რო ღვთისოს ერგო ეგ დიდი თევზი; ჩემო შაქო, ეგ არი თქვენზე ახი!

ჩვენ რაღა გაგვეწყობოდა: თავ-თავის წილი ავიღეთ ყველამ. ყველამ შევაერთეთ თევზები საშობაოდ, ღვთისომ კი ჯიბეში ჩაიდო თავ-მომწონედ.

დედა-ჩემი ეძებდა რაღაცას ხოკრებში, მატყლს ამოჰყრიდა და გაჯავრებით ბუტბუტებდა.

— აჰათ, მანდ ეშმაკ-ქაჯს-კი ნუ ამბობთ, ე ნიორი დაფცქვენითო, გვითხრა მან.

ჩვენ ჩამოვართვით ნივრის თავები და დავუწყეთ ფცქვნა.

— ქალო! აქ კაკლები მეყარა, და დაუთხევავ რასამა. არას დააყენებენ, სუყველა უნდა ერთს დღეს შასვან და შაჭამონ ამ მუცელ გასახეთქებმა. რას ეძებდნენ თქვენი ჭირიმე, რა უნდოდა? შენი საქმე კაა ეს სრულა, ბალღო, სთქვა ჩემზე დედამ.

— მე რა? რად მინდოდა მე კაკალი? არა ჩემის სალოცავის მადლმა, რას ამბობ, ქალო?! ვსთქვი მე გაჯავრებით, თუმცა-კი გულში ბრალი მქონდა.

— ჯამი მამე, და, უთხრა სალიამ დედა-ჩემსა და თან თავისს ხურჯინს მოსჭიდა ხელი,—მე მიყრავ ხურჯინში კაკალი.

დედამ ხის ჯამი მოუტანა და სალიამაც დააჩხრიალა თხილ-კაკალი ხურჯინის თვალში. ჯამი თითქმის აავსო თხილ-კაკლით. თხილი ჩვენ მოგვაწოდა და კაკალი დედა-ჩემს აურჩია.

სალიამ თითონ გაგვინაწილა თხილი, ყველას თითო მუჭა ჩაგვიყარა ქუდში, რომელიც ხელში გვეჭირა ყველას და იმისკენა გვქონდა გაშვერილი. დედამ დიდი „საჯალაფო“ ქოთნი შემოდგა ცეცხლზე, საკიდელზე ჩამოჰკიდა. ყველანი მივხვდით და გავიგეთ ჩვენს ვახშამს რაც ერქვა: ნივრის ხინკალი.

მერე ვარცლი გადმოიღო საფქვილე კოდზე ნადგომი და თანაც წითელი ხბოს საფქვილე გუდა და საცერი.

— დაიცა აგრემც გენაცვლები, ჩემო ხვარამზე, მე მოვზელ, შენ არა გინდა, უთხრა დედას სალიამ; ამოიღო თან ხის ჯამით წყალი ქვაბიდამ და დაიწყო ხელების ბანა. დედამაც დაუთმო ეს საქმე სალიასა და თვითონ ნიგვზისა და ნივრის ნაყას შეუდგა, ფილთაქვით ჯამში ჩადებული, ზედ ფქვილ მოყრილი ეს ნიორი და ნიგოზი ჯამით დაუდგეს პაპაჩემსა და ქერქებიც (გათხელებული ცომი). იმან დაუწყო ხვევა. ასე შრომა განაწილდა. ჩვენ ცეცხლს უკეთნებდით შუშას. ჩქარა ხინკალიც მოვხარშეთ. ქვაბი პაპაჩემმა გადმოდგა საკიდლიდამ, დადგა კერაზე და ხის ქაფქირით დაიწყო ხინკლის ამოყრა ხონჩებზე; ხინკალს ნისლიერით ოშხრივარმა დაუწყო ადენა და ჩვენც მოუთმენლად მოველოდდებოდით, რომ ჩქარა ხონჩა მოეტანათ და იმ ერთის ფშაველის ლექსისა არ იყოს დაძინებული ხინკლის გაღვიძებისა,—ჩვენც გამოგვეღვიძა ეს დაძინებული ხინკლები. აი სუფრაც დადგეს...

— ღმერთო მადლიანო, ღმერთო ნაწილის გამჩენო, შენ უშველე ამ ოჯახს და ამ ოჯახში მცხოვრებელთ, ნუ მააკლებ შენს წყალობასა. სთქვეს ყველა ჩემმა სტუმრებმა. მე როგორც ოჯახის კაცმა მადლობა გადავუხადე.

— ღმერთი იყოს თქვენი მშველი და მწყალობელი-მეთქი.

— ბიჭო, ელიზბარო! აჰა, ბიჭო, მაიბრუნე აქათ თავი, ე ჩარექა გამამართვი და ე ყანწიცა, დაუსხი და დაალევინე ემა კაცებსა, მითხრა დედამ და თან არაყიანი ჩარექა მომაწოდა. მეც ჩამოვართვი, დავასხი არაყი ყანწზე და პირველად მივართვი პაპაჩემს.

— დიდება ღმერთსა! ღმერთო შენა სწყალობდე გამიხარდისა (მამაჩემი) იმის ცოლ-შვილსა, იმის ყოფა-ცხოვრებას, იმის ამაგსა და მარჯვენას, მაიყვანე შინ მშვიდობით; ღმერთმა გაცოცხლნესთ, გადღეგძელნესთ, ყველანი, არჯალავ შენცა, ბალღებო თქვენცა, თქვენ გაგახაროთ, უთხრა მან დედაკაცებს.

— ღმერთმა გიშველოსო! მივუგეთ ბალღებმა ბერიძეს.

— ღმერთმა თვალის სინათლე ნუ გამოგართოსო, უპასუხეს დედამ და სალიამ.

შემდეგ არჯალას მივაწოდე ყანწი; ეხლა ძლივს ამოიღო ხმა და დაილოცა. თითო ყანწი ჩემს ამხანაგებსაც მივაწოდე; დალიეს იმათაც, მაგრამ ცოტ-ცოტა.

— რატო არ იმღერით; აბა შაჰმღერენით, აგრემც გენაცვლებით, გვთხოვა სალიამ. იმას დაეთანხმა დედაჩემი და ბერიძეც.

— შაჰმღერენით, შაჰმღერენით, აბა რა რიგი ხმა გიძეთ, რა რიგი სიმღერა იცით, აგრემც დაიტირებთ ბერიძესა, სთქვა პაპაჩემმა.

ჩვენც დავიწყეთ მღერა ჯერ გაუბედავად, ყელში ხრინწიანის ხმით და მერე-კი ხმა მოვიწმინდეთ.

> ალაზნის თავსა, კლდის თავსა
> სისხლის წყარონი დიანო,
> არცა ჰსმენ მონადირენი,
> არც როდის დაშრებიანო.
> ის ურჯულონი ლეკები
> სასმელად გადმოდიანო.

ეს ლექსი რომ გავათავეთ, ახლა წიწალამ დაიწყო:

> ალაზნის თავსა ჰკვდია
> ხარის ჯურხსაის ფარიო,
> მაულის ომის ხალიზი
> მალი-მალ შასძრავს ქარიო.

სათითაოდ ლექსი ყველამა ვსთქვით. დედაჩემი, სალია და ბერიძე მადლობას გვიხდიდნენ: აი გიშველოსთ ღმერთმა, აი დაიზარდენით, დიდხანს აუბნოს თქვენი ენა-პირიო, გვეუბნებოდენ ისინი.

პურის ჭამა გავათავეთ და სუფრა გადავდგით. არჯალამ და პაპაჩემმა ჩიბუხები გააჩაღეს, იმათი ყალიონების ბოლი ცეცხლის ბოლსა სჩრდი-

*) იხ. „ივერია“ № 274 და 275.

იქ სახელმწიფო ბანკთან დაარსებულს კასსაში შეეტანა. სიშორე კასსისა ძალიან უცარავდა ხელს კაცსა, რადგან ზოგჯერ სულ ორი სამი მანათი გინდა შეიტანო და ამ მცირე ფულის შეტანას ორჯელ მეტი ხარჯი უნდებოდა. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ამ სასარგებლო დაწესებულებას. თითო-ოროლა გროშებით ფულის შეტანა ყველასთვის ადვილია და არავისაც გაუჭირდება, და ცოტ-ცოტაობით შეტანილი ათითხუთმეტის წლის შემდეგ კაი თანხად გადიქცევა.

*** კახეთი: წელს კახეთში თოვლი პატარაა და ხორაგეულიც ძვირი არ არის. ამ ბოლო დროს საშინლად შეგვაწუხა სხვა-და-სხვა სენმა მეტადრე ყვავილმა, რომელიც მოდებულია, როგორც თელავში, ეგრეთვე მთელს მაზრაშიც. მაზრის ექიმი დადის აქა-იქ, მაგრამ ერთი და ორი ექიმი ამოდენა ქალაქისა და მაზრის მცხოვრებთათვის ზღვაში დაცემული წვეთია. უბედურობა კიდევ ის არის, რომ მთელს მაზრაში არც ერთი ნასწავლი ბებია არ მოიპოვება. არის საშინლად გავრცელებული დედათა სნეულებანი, რომელიც ცოტა მსხვერპლს არ იწირავს ყოველ წლობით. თელავის მაზრა დიდ-დიდის სოფლებით არის მოფენილი. თითო სოფლის კომლთა რიცხვი 300 დგან 1000 კომლამდინ აღის. ამისთანა სოფელს, რასაკვირველია, არ გაუჭირდება თითო რიგიანად ნასწავლი ბებიის შენახვა და პატარა აფთიაქის დაარსება, რომელიც დიდს შეღავათს გაუწევს ხალხის ჯან-მრთელობას და ბევრს უშველის დასნეულებულს ხალხს. საქმე მხოლოდ მონდომება, და თავის გამოდება-მოთავეობა ამ კეთილის საქმისა. თავი სოფლისა არის ინტელიგენცია, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და მაზრის მმართველი, მონდომონ ამათ და ხალხს სნეულობათაგან ადვილად დაიხსნიან.

*** თელავი: ეს მთელი შემოდგომა და ზამთარი მიდის და თელაველებმა ერთის ქართულ წარმოდგენის გამართვა ვერ მოვახერხეთ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ საქმის შემძლე ქალთა და კაცთა რიცხვი თელავში საკმაოდ მოიპოვება, მაგრამ აქაც მონდომებაა საჭირო და გაქარწყლება იმ რაღაც უსუსურის აზრისა, რომ ვითომ სცენაზე გამოსვლა სათაკილოა და ადამიანის შემარცხვენელიო.

*** სიღნაღი: კარგა ხანია მას აქეთ, რაც წელს გაზაფხულზე, ვგონებთ, აღდგომის კვირას, ხუთშაბათს დღეს, გაიმართა აქ ბალი ლატარია ალეგრით წინაძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ და, თუ არა ვსცდებით, დღემდე ამ ბალის შემოსავლისა და გასავლის ანგარიში არც ერთს გაზეთში არ გვინახავს დაბეჭდილი. არც ვიცით, დარჩა რამ ფული თუ არა, და თუ დარჩა, გადაზავნა დანიშნულებისამებრ, თუ ჯერ არ გაუგზავნიათ მოთავეებს. სასურველია, რომ ყოველივე გარემოება ამ საქმისა გამოცხადდეს რიგისამებრ. სასურველია აგრეთვე გამოცხადდებოდეს იმ ფულის ანგარიშიც, რომელიც სიით იკრიბებოდა ჩვენსავე ქალაქში იმავე სკოლისა და ბ-ნ ივ. კერესელიძის სასარგებლოდ. ამ ფულის მოკრების ამბავიც კარგა დიდის ხნის ამბავია და მისი ანგარიშიც ვგონებთ ჯერ არსად ყოფილა დაბეჭდილი.

*** მარტყოფი: 22 დეკემბერს მოხდა აქ ფრიად სამწუხარო ამბავი: ნაშუაღამევს, მეორე საათზედ მძიმედ დასჭრეს და გაძარცვეს საკუთარს სახლში ერთი პატიოსანი კაცი, აზნაურიშვილი ბიჭია მერმანის ძე კიკნაძე. ჭრილობა 12 ალაგას ჰქონდა, მათ შორის ერთი სასიკვდილო იყო. დაჭრილია აგრეთვე ცოლი მისი, მხოლოდ მსუბუქად-კი. დილის შვიდს საათზედ კიდევაც განუტევა სული ეს მეც დაჭრილმა. ის საცოდავი ერთის საათის წინად მოვიდა სწორედ ქუთაისიდამ, საიდანაც, როგორც აღმოჩნდა, მოჰყოლოდნენ ავაზაკნიც. ავაზაკებმა წაიღეს მრავალი ვერცხლისა და ოქროს ნივთები და ორას თუმნამდე ფული. დამნაშავენი დილის ოთხს საათზედ შეიპყრო შორაპნის მამასახლისმა შველიძემ და ჟანდარმმა ძირულის სადგურისამ. სულ სამი კაცია: ვლადიმერა ავალიანი, ივანე ცოცხაძე რაჭველი და ქუთათური ურია ნონია ფიჩხაძე. მთელი მაზრა, მეტადრე გლეხკაცობა, ძლიერ შეწუხებულია ამ ამბით, ძლიერ შეიმაგრეს ხალხი ყარაულებმა, როცა ავაზაკნი დაჭერილნი დაინახეს, ცემისაგან ძალიც ვერ იპატიეს; კინაღამ თითონვე გაუჩინეს სამართალი. დღესვე მოვიდა მაზრის უფროსი, ბოქაული, ექიმი და გამომძიებელი. საბრალო კიკნაძეს დიდი იჯარები ჰქონდა რკინის გზაზედ და რაც ამისათვის ხელოსნები ან უბრალო მუშა ხალხი სჭირდებოდა, ყველას ქართველებს იყვანდა; სხვა ტომის ხალხს ძლიერ ერიდებოდა. ამასთანავე პირიანად და თავის დროზედ უსწორდებოდა ყველას. ეს არის მიზეზი, რომ მთელი შორაპნის მაზრა შეწუხებულია და ჰგლოვობს მის დაკარგვას.

*** სოხუმი: ამ დეკემბრის მიწურულებში დიდი ღელვა იყო, ასე რომ ფუქვნდის ახლო საბარგო გემი „ტრუვერი“ ტალღამ კიდეზე გამოაგდო. დიდი უბედურება არა მომხდარა-რა, მხოლოდ ოთხი კაცი დაირჩო. ერთი ამათგანი, როგორც ამბობენ, სოხუმელი მცხოვრები რუსიაო, რომელსაც სტავროპოლის გიმნაზიაში მისაბარებლად შვილი წაეყვანა. მეორე სამწუხარო ამბავი ის განლაგეთ, რომ ოც-და-სამს დეკემბერს, დილის თერთმეტს საათზედ, შუა ბაზარში ერთი კაცი მ ჰპარვოდა მეორეს და კეტი დაეთხლიშა თავში. საცოდავმა იმ წუთშივე სული განუტევაო. მკვლელი თავის საშველად გაიქცა. იმ დროს პოლიციის მოხელე ბ-ნი მეფისოვი სადღაც ყოფილიყო, შეეტყო თუ არა ეს ამბავი, გამოსდგომოდა მკვლელს, დასწეოდა და შეეპყრა სხვათა დაუხმარებლად მარტოდ-მარტოს.

*** ქუთაისი: ოც-და-ორს ამ დეკემბრისას აქ მოხდა დეპუტატთა არჩევანები. სულ შეკრიბა სამას ოთხმოც მცხოვრებთაგან მხოლოდ ას თოთხმეტი მეკენჭე; კენჭის ყრას აი რა შედეგი მოჰყვა: დეპუტატად ნამყოფს ტიმერიოვს ამოუვიდა 82 თეთრი, 32 შავი, ივ. გვაზავამ მიიღო 68 თეთრი, 46 შავი, თ. გაბუნიამ 85 თეთრი, 29 შავი, დეპუტ. ნამყოფმა აზვესტაპულომ 94 თ. 20 შ. მიმინოშვილმა 76 თ. 38 შ. პ. ბარკალიამ 85 თ. 29 შ. ხ. ესანდოპულომ 55 თ. 59 შ. ან. გოჩალეიშვილმა 87 თ. 27 შ. ს. თურქიამ 79 თ. 35 შ. და პ. კეთილაძემ 91 თ. 23 შ. ასე, რომ წელს ერთი დეპუტატი ბერძენი იქნება, ხოლო ორი ქართველი.

*** ოსეთი: ბარის ოსეთში მკურნალისა და ბებიის ხსენება არ არის თითქმის. მეტადრე უბებიაობა აჭირვებს საქმეს და აუბედურებს აქაურს ხალხს. ერთის თვის განმავლობაში რამდენიმე დედაკაცი გადაჰყვა თან მელოგინობას, მხოლოდ იმიტომ, რომ იმათთვის ნასწავლი ბებია არსად იყო. ვგონებთ ბებიის დაქირავება და ყოლა ისე ძნელი არ არის აქაურებისათვის თითო სოფელში 200—300 კომლი მცხოვრებია და რად უნდა გაუჭირდეს რამდენსამე სოფელს ერთი ბებიის ყოლა და მისთვის შესაფერის ჯამაგირის ძლევა. სულ ბარის ოსეთში 15 სოფელია. ოლგინსკაიამ, ბესლანმა, ზილგემ და ხუმელაგამ შეიძლება ერთი საკუთარი ბებია იყოლიონ; აგრეთვე ბათაყომ, ბრუიმა, არიყმა და დარკოხმა, შემდეგ კიდევ კლიროთმა და ქირმანმა. ეს თერგ გამოღმა. თერგს გაღმა სოფლებიც შეიძლება ასე შეერთდნენ: გიზელი, ყადგარონი და მაჰამეთ-ყაუ ერთად შეერთდნენ, არდონი და სალუგარდანი კიდევ ცალკე იყვნენ. ამ სახით სულ ხუთი ნასწავლი ბებია ქალი ეყოფა მთელს ბარის ოსეთს. თითო ბებიას 20—30 ვერსზე შორს არ მოუხდება წასვლა და გზები ხომ სოფლებს შუა ხელის გულსავით გაშლილია და ეჭვგარეშეა არ იქნება, რომ თავმა და შეგნებულმა კაცებმა იზრუნონ ეს საქმე და მით დაამტკიცონ გულ-შემატკივრობა თავიანთ გვარ-ტომობისა.

*** პეტერბურგი: აქაურს უმაღლესს სასწავლებლებში წელს ამ შემოდგომაზე ოთხმა ქართველმა გაათავა კურსი. თ. გ. ეჯზირიშვილმა, ი. ბახუტაშვილმა (უნივერსიტეტში საიურიდიო ფაკულტეტზე), ს. ალექსი-მესხიშვილმა (სამკურნალო აკადემიაში) და ი. ჩაჩიკაშვილმა (სატყეო ინსტიტუტში).

*** ოზურგეთი: ამ თვეის დამლევს უნდა იქმნენ ამორჩეულნი ჩვენის ქალაქის დეპუტატები და სხვა საქმის გამგენი. სასურველია, რომ მცხოვრნი კარგად მოიფიქრებდნენ და ისეთს კაცებს აარჩევდნენ, რომ საზოგადოებასაც სამსახური გაუწიონ და ქალაქსაც სარგებლობა მოუტანონ. წელს ქალაქის შემოსავალი ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე წინად.

*** ამ თვის 26, საღამოს 11 საათზე, დიდ ტფილისის ქუჩაზე, აიკაზოვის სახლში, ქურას ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა სახლის კედელი. ცეცხლი შინაურის საშუალებით ჩააქრეს.

---

ღავდა და ნისლივით აღიოდა მაღლა „საკომში“.

სალიამ და დედაჩემმა დაიწყეს ჯამჭურჭლის რეცხა, დარეცხეს და დააწყეს თაროზე... ამ დროს იქვე საპურე გოდორზე მჯდარიყო მამალი; მამალმა შეშინებულის ხმით დაიყივლა.

— ეგი შენ და დარდუბალა? რა დროს ყივილია, რო ჰყივი?! სთქვა სალიამ.

მე და ჩემმა ამხანაგებმა სიცილი დავიწყეთ, რადგან მართლაც რომ სასაცილოდ მოუხდა შეყივლება მამალაყინწას.

— სძინებია მა ბერიკსა და ეხლა გამაჰღვიძებია: იქნება გათენდა და დახე როგორ უკაცრავად შაერჩიო, რო ერთხელაც არ დავიყივლეო, სთქვა მამალზე ბერიძემ.

— უკაცრავად მე შავჩეხი მაგ მამალს, მე ვიცი, თუ გადმოაბძანე ქანდარაზეით—დაუმატე მეც.

— ე მაგის მეტი მამალი არ მებადება, თორო ხო დაგაკლევინებდით დედაშვილობამა, სთქვა დედაჩემმა.

— მე სრულ აღარ მებადება, ქალო, ქათმის ნავისი; სუთი-ექვსანი რანიმ მოიზარდენ და ისებიც ქორმა გადამიკრიფა დიდ ქორ რაიმ დაავალის, ჰრულა, დიდი დასწყევლოს ღმერთმა! დაუმატა სალიამ.

— ის ქორი იქნება, დიო, აქაც დავალის ისი,—ინდოურებს ჩამასტეევებიყო ძოლანის სამა, კინაღართ ინდოური გამტაცა, ეუბნებოდა დედა.

— მაშ არ დაგვაკვლევინებ მამალსა, დედავ, უდროო დროს რო ყივის?!. ვსთქვი მე განმეორებით.

— მამალს-კი არა, რად გინდათ მამალი, თქვენ თვითონ მამლები ხართ, გვითხრა ღიმილით დედამ, სალიასაც გაეცინა ამ სიტყვაზე. თქვენ დაწევით, ის არ გირჩევნიათ, ხვალ ადრე ადგომა გინდათ ახაიტში ავლა.

— სად დავიძინოთ მაშ? ვკითხე მე.

— საცა თქვენი ნებაა, ვინ არი თქვენი ბატონი და მბძანებელი, სთქვა კვლავ დედაჩემმა.

— ჩვენ საბძელში, ჩალაში დაწოლა გვირჩევნავ, ვუპასუხე მე.

— საბძელში გვირჩევნავ, საბძელში, სთქვეს ჩემთან ერთად ჩემმა ამხანაგებმა.

— გირჩევნავთ, დედაშვილობამ, გაიკეთეთ ხრუწუნები და ჩაწექით შიგი ლამაზ თბილად, დაამოწმა სალიამ.

დედამ დაუგო ნაბდები და ფარდაგები ლაჰნებში ბერიძეს და არჯალას და ჩვენც წავედით საბძელში ბურდოში დასაძინებლად. ღვთისოც ჩვენთან წამოვიდა დასაძინებლად, მეც თქვენთან ყოფნა მწადიანო.

გავიკეთეთ ბურდოში „ხრუწუნი“, სორო თავ თავისთვის და ჩავწექით შიგ თბილად. ლამაზი სუნი მოსდიოდა ბურდოსწვლა მთის თივას. რო მოვიგონო სიყმაწვილის დროინდელი ჩემი გამოვლილი სიამოვნება, ერთი მახსოვს და სანთელივით ჩემს გულში ანთია ეს, და მეორე, როცა შუა-ღამის დროს კვრაზე მჯდომარე დედაჩემი ართავდა და ან „სჩეჩდა“ მატყლს, საჩეჩლის კბილები წკრიალებდნენ და მე მძინარას მესმოდა ღვთიურს ხმასავით. ჩავწევით თუ არა, გაღმა გორზე ერთი მგელი ასტყდა, დაიწყო ყუილი ბოხის ხმით, ტყე და მთა უხმობდა იმის გაბეზრებულს ხმას. სოფელში ასტეხა ძაღლებმა, ესენიც ხან შეჰყეფდნენ და ხან შეჰყუოდენ ლეკ-ჩოხა ბიჭს, მგელს რომ ეძახოთ; ქვეიდამ მუქარას უთვლიენ, მაგრამ მგელი მაინც თავისას არ იშლიდა, გულს იფხანდა და ვარამს იქარვებდა.

— ბებერია ეგ ტიალი, როგორ ბუხბუხებს და რუხრუხებსო,—ვამბობდით ჩვენ.

ღვთისომ კოჭლი დევის ზღაპარი დაიწყო და ორი სხვა-და-სხვა ხმა ერთი ბალღისა და მეორე მგლისა ერთად შაერთებული დედის ტკბილს ნანასავით შაგვესმა და ჩაგვეძინა. მგელი-კი ისევ ყუოდა და ძაღლებიც ისევა ჰყეფდენ...

ხატობა

ჯერ კარგად, არც-კი გათენებულიყო, რომ ხელი ვიღაცისა ჰხვდებოდა ბურდოს და აშრიალებდა.

— ადგებით გათენდა, დროა, ბიჭო, დაგვძახოდა თავზე სალია, ჩვენ ამოვძვერით ჩვენის სოროებიდამ და თითო ფუჩი ბურდო ამოვიყოლეთ ტანით. მთელი საათი ვიწმინდეთ თავი და ტანი და როგორც იყო გავიყრეინეთ ზედ ასხმული ბურდო...

წამოვედით შინ და ხელით ყველამ თანაც წამოიღო ბურდო ქალმანში ჩასაგებლად...

შუადღე მოსჯარდა, დედაჩემმა ქადები, ხმიადები, კვერები და კუჭლები გუდაში ჩააწყო და წამოიკიდა ზურგზე. ეგრეთვე სალიამაც. ხელში თითო ჩარექა არაყიანი ეჭირათ. არჯალა და ბერიძე დილითვე წასულიყვნენ ხატში... სალიამ ჩემი ყოჩი წამოიყვანა რქებზე თოკ-გადადებული და გავწიეთ ჩვენც ხატში. ყოველ მხრიდამ მოდიოდენ კაცი, ბალღი და დედაკაცი. ხატში რომ მივედით, ხალხი საკმაოდ მოგროვილიყო. ხატზე მოშორებით, იფნებს იქით, გროვად ერთმანერთზე მიკუნჭული დედაკაცები ისხდენ ჩუმად. მამაკაცები ყაყანებდენ. პაპაჩემი ქუდ-მოხდილი ტრიალებდა ხატის იქითა მხარეს, სასანთლის წინ და ხელში თასი ეჭირა და ილოცებოდა, „ადიდებდა“, ხატის გარშემო ბლომად იყო ბატკნები, ხბორები და კურატები „ახსენებული“ შეთქმული, თუ მკითხავისაგან დაავალებული ხატში დასაკლავად, ჩემი ყოჩიც თავის „დაგრეხილ-დაჭრეხილის“ რქებით იქ წავაყენე.

— წყალობა ხატისა, მოხვედ შვილო?! მითხრა პაპამ.

— შენიმც მწყალობელია! მოვედი და ყოჩიც მოვიყვანე-მეთქი.

— ჯერ ხალხი არ მოგროვებულა, უნდა მოუცადოთ, შვილო, სთქვა მან და მომაწოდა ლუდიანი თასი, შასვი, შასვი არას, გიზამ. მეც გამოვართვი თასი და დავილოცე—ღმერთი და ეს ადგილას ბატონი ღვთიშობელი შაეწიოს თემსა სოფელსა და ლუდის მდუღევებსაცა.

— აი გაიზარდე, გაიზარდე წყალობა მოგცესო, სთქვეს პაპაჩემთან ერთად იქ მდგომმა ფშაველებმა.

იქვე სასანთლის გვერდზე, სიპებზე ელაგა ერთმანეთზე დაწყობილი ქადები და ხმიადები თანდათან კიდევაც მოჰქონდათ, ისე რომ ქადა-პურების კედელი გაკეთდა. სალუდის წინ დიდი ცეცხლი ენთო და გარეშემო ხალხი უსხდა; დასტურები ლუდს ასმევდენ ხალხს კოშით და თასებით; იქვე ცეცხლთან იდგა ტაგანი (პატარა კოდი) ლუდით სავსე, რომ ცოტა შემთბარიყო; ჩემი სწორები ბევრნი იყვნენ აქა, წითელი ახალოხები ეცვათ, სადღესასწაულოდ იყვნენ მორთულნი, ქუდის თავზე ჯვარედინად ზოგს მძივები ეკერა. ხალხიც მოგროვდა... საკლავების ხოცა დაიწყო. ორი თუ სამი საკლავი სასოფლო დაიკლა. დასტურებმა ქვები დააწყეს ცეცხლის აქეთ-იქით და ზედ უზარ-მაზარი ქვაბი შედგეს, დაუწყეს ხორცს ხარშვა; ზოგნი ცეცხლში ჰხანხლავდნენ ღვიძლსა და ფირტვს, ნაცრიანს უგლეჯდა ხელით ერთი მეორეს და სთავაზობდა. შემდეგ ვისაც რამ მოეყვანა ზვარაკად ბერიძე იმის კურთხევას და ხოცვას შეუდგა. დასტურები ქადა-პურებს სჭრიდენ თითოს სამად: ერთი ნაწილი როგორც ქადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

⁂ დეკემბრის 25, საღამოს 8 საათზე, ავჭალის ქუჩაზე, ფოსტის მოხელის ივან სოლადოვნიკოვის სადგურში პოლიციელმა და სოლადოვნიკოვის მოსამსახურემ შეიპყრეს ტფილისის მცხოვრებელი არშაკ იაგორის ძე ეირანოვი, რომელიც სახლს გაქურდვას უპირებდა. ქურდი სამართალში მისცეს.

⁂ 24 ამ თვისას, შუაღამისას, პოლიციის ქუჩაზე წოვიანოვის სახლში, პეტრე ხაისინის სადგურიდგან მოიპარეს ორი ხალიჩა. ერთი დამნაშავეთაგანი ტფილისის მცხოვრებელი ტიგრან არაქელის ძე ბეგლიაროვი ქურდობის დროსვე შეიპყრეს, დანარჩენთ-კი მოასწრეს გაქცევა.

⁂ ამავ დღესვე ყაითმაზოვის სახლში არტისტთა საზოგადოების სასტუმრო ოთახში ფულის კასსა გასტეხეს და წაიღეს 62 მან. ქურდობა დაჰბრალდა მზარეულს სიმონ დვალიშვილს და იმასთან სტუმრად მყოფს სპირიდონ და დიმიტრი დვალიშვილებს, რომელნიც შეიპყრეს კიდეც.

⁂ 24 ამ თვისას მნაცაკანოვის ხიდთან სოფ. ნორიოს მცხოვრებელმა სოფიო ვარძიაშვილმა იპოვნა ძონძებში შეხვეული ერთის კვირის დაბადებული მიგდებული ბავშვი და თითონვე იკისრა მისი აღზრდა.

⁂ ხუროთ-მოძღვარმა ალექსანდრე ოზეროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ამ თვის 24, ღამე, სახლის აივანის შუშაბანდი გამიტეხეს და 75 მან. ღირებული ქალის თბილი პალტო და 20 მანეთიანი კაცის პალტო მომპარესო.

⁂ 24 დეკემბერს პოლიციის მეათე ნაწილში იპოვნეს გრძნობა-მიხდილი ვიღაც კაცი, სამკურნალოში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა.

⁂ 22 ამ თვისას ვარანცოვის ქუჩაზე პოლიციელმა შეიპყრო ერევნის მცხოვრებელი ამბარცუმ გრიქუროვი, რომელსაც ჰაჯიმაშადის პურის საცხობიდგან ერთი ტომარა ფქვილი მოეპარა და მიჰქონდა.

⁂ 25 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის მცხოვრებელი არტემ გრიგორის ძე ბათაშვილი სიმთვრალის დროს მოჰყვა საქონლის მატარებელის ვაგონს ქვეშ, რომელმაც მარცხენა ხელი მოსწყვიტა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ 24 ამ თვისას პოლიციაში მივიდა ტფილისის მცხოვრებელი იაგორ ჭეშმარიტოვი და გამოაცხადა, რომ ჩემის ქარხნიდგან 50 მან. ღირებული სამი კამბეჩის ტყავი მომპარესო. დამნაშავე სპარსელი ყამბარ-ჰუსეინ-ოღლი აღმოჩნდა, რომელიც პოლიციამ შეიპყრო და ნაქურდალიც უპოვა.

## ქართული სახალხო თეატრი

თამარ ბატონიშვილი დრ. 5 მოქ., კ. მესხისა.

ხუთშაბათს, 27 დეკემბერს სახალხო თეატრში არტისტის ქალის ქ-ნის მამინძრიოვის საბენეფისოდ წარმოადგინეს „თამარ ბატონიშვილი“. ეს პიესა, როგორც უკვე მოგეხსენებათ, გადმოკეთებულია რჩეულოვის რომანიდამ, რომელსაც იგივე სახელი ეწოდება და რომელიც, გგონებ, ყველა წერა-კითხვის მცოდნე ქართველს დიდის სიამოვნებით ექნება წაკითხული. შემდეგ იგივე რომანი გალექსა „ჩვენ პოეტთ შორის პატრიარქმა“ თ. რ. ერისთავმა და ამ წიგნსაც დიდი ბაზარი ჰქონდა და აქვს ჩვენს საზოგადოებაში. ბოლოს იგივე რომანი ლექსად არის თქმული თ-დის ს. გუგუნავას მიერ და, უნდა სიმართლე ვაღიაროთ, მუშტარი არც ამ უკანასკნელს აკლია. უეჭველია ეს იმას ამტკიცებს, რომ ეს ნაწარმოები ჩვენს ხალხს მეტის-მეტად მოსწონს. თორემ თუ ეს ასე არ იყოს, იმის არც გადრამებას მოინდომებდა ვინმე, არც გალექსვას მოისურვებდა. ამიტომაც იყო, რომ ამ წარმოდგენას შედარებით საკმაოდ ბევრი საზოგადოება დაესწრო, ხოლო იმისი-კი რა მოგახსენოთ, ნახა თუ არა საზოგადოებამ ის, რაც უნდა ენახა და რისთვისაც მოიყარა თავი თეატრში. სამწუხაროდ, უნდა გამოვტყდეთ, რომ საზოგადოებამ, რომელმაც თავის სასახელოდ გზა აუქცია ცირკს და თეატრისაკენ გაეშურა ამ პიესის სიყვარულის გამო, ეს პიესა ველარ იცნო; ისე უგულოდ და უსულოდ იყო წარმოდგენილი. ერთად ერთი არტისტი, რომელმაც თავის კარგის თამაშობით გულის-წყრომა და უმადურობა საზოგადოებისა მოაცილა, იყო ბ-ნი გამყრელიძე ელიზბარ ერისთავის როლში. პირველს მოქმედებაში, თუმცა ცოტა არ იყოს, ამ არტისტმაც წაიბორძიკა, მაგრამ სამაგიეროდ მეოთხეში ნიჭი და უნარი, სილოვნება და ცოდნა გამოიჩინა თავის სათამაშოში. ნათლად დაგვიყენა თვალწინ მძლავრობითა და უსამართლობით ტანჯულის და დევნილის, საყვარლისაგან ნაღალატევის და შვილის დამკარგავის, ხანგრძლივის ტყვეობის გამო წამებულის ელიზბარის სულის მღელვარება და გულის წუხილი. ეს სურათი ისეთის სისრულით და ხელოვნებით იყო დახატული, რომ ბევრს ტირილი მოჰგვარა. ეს იყო და ეს. დანარჩენ როლთა აღმასრულებელნი თითქოს თითონვე ჰგრძნობდნენ, რომ ნაკისრ როლთან არაფერი საერთო არა ჰქონდათ, დამფრთხალნი და შეშინებულნი გამოდიოდნენ სცენაზე და სუფლიორის მიერ ნაკარნახევ სიტყვებს უაზროდ და უადგილოდ იმეორებდნენ. ამ უკანასკნელთა შორის, რომ სული არ წავიწყმიდოთ და ისე ვსთქვათ, როგორც ცოდნით თუ რიგიანის თამაშობით აჩნდა თითონ მობენეფისე ქ-ნი მამინძრიოვის თამარის როლში და ქ-ნი დიდებულიძისა რუსუდანისაში. ბ-ნს ნებიერიძესაც, რომელიც შალვას როლს ასრულებდა, თავისი ძალ-ღონე და მოსურვება არ დაუზოგავს, რომ ნაკისრი როლისათვის როგორმე მომზადებულიყო, მაგრამ ამაოდ. ამ როლში გამარჯვება ვერ მოუხდა. დანარჩენთა შესახებ რომ არა ითქვას-რა, უმჯობესია. ლაშა გიორგის აღმასრულებელი ბ-ნი კობიძე სასაცილო და საბრალო სურათს წარმოადგენდა ამ როლში, თან როლიც არ იცოდა. მაგ. ეს ფრაზა: „ჩემს რისხვას საზღვარი არ ექნება“, მან ასე გადაატრიალა: „ჩემს საზღვარს რისხვა არ ექნება“-ო და ხალხში სიცილი ასტეხა. ბ-ნნი მჭედლიშვილი (ივანე არღუთაშვილი), ადამიძე (მანუჩ არღუთაშვილი) და გულისაშვილი (ვარამ გაგელი) არაფრით არ გვანდნენ დარბაისელ თავადთა და მეფის კარის კაცთა.

გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ამ თეატრს ჩვეულებად დასჩემდა და ვინც აფიშაში იქნება გამოცხადებული, ის სცენაზე არა ჩანს. ესლაც ლაშა გიორგის როლი, როგორც აფიშაში იყო ნათქვამი, ბ-ნ აწყურელს უნდა აესრულებინა, მაგრამ, სამწუხაროდ აწყურელი არ უხილავს თვალსა ჩვენსა!

დასასრულ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ თუ ამ თეატრის არტისტებმა ასე გულ-მოდგინედ და გაბედვით მოჰკიდეს ხელი საქმეს, როგორც „თამარ ბატონიშვილში“ იჩინეს თავი, ადვილად მოსალოდნელია, ახლო მომავალში თავის-და სასახელოდ „მეფე ლირი“ წარმოადგინონ. ბ-ნი მჭედლიშვილი, რა თქმა უნდა, ლირის როლს აასრულებს და სხვას ხომ ყველაფერს ადვილად მოაგვარებენ.

უფიცარი რეცენზენტი

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. კასპი. (ქართლი, ლეხურის ხეობა). 25 დეკემბერს გუშინ საღამოზედ თავადმა დიმიტრი ივანეს ძემ ამილახვარმა და მეუღლემ მისმა, კნეინა ანასტასია რევაზის ასულმა ამილახვრისამ, თავისის ხარჯით გაუმართეს ჩვენის სასოფლო სკოლის მოწაფეებს „იოლკა“.

საღამოს საათის ექვსზედ მასპინძლები და სხვანი კეთილშობილნი, მოწაფეები და ამათი მშობლები შეგროვდნენ სკოლის დარბაზში. ერთს მხარეს გამწკრივდნენ მოწაფენი თავისის მასწავლებლით, მეორე მხარეს მასპინძლები იყვნენ და სხვა საპატიო სტუმარნი, დანარჩენი ადგილი მაყურებლებით იყო სავსე. მასპინძლებს წინ ედგათ სტოლი, სავსე სხვა-და სხვა საჩუქრებით; დარბაზს შუა გამართული იყო „იოლკა“.

მასწავლებელმა წამოაყენა წინ ორი მოწაფე: ვანო ბაინდურაშვილი და ნიკო შალუტაშვილი, რომლებმაც მოგვითხრეს ქრისტეს დაბადება, პირველმა რუსულად და მეორემ ქართულად. ორივენი ძალიან თამამად ლაპარაკობდნენ.

ამათ მოჰყვნენ წყვილ-წყვილად ორ-ორი მოწაფე, რომლებმაც წაიკითხეს სხვა-და-სხვა საყმაწვილო ლექსები, ზოგმა ქართულს ენაზედ, ზოგმა რუსულად. შემდეგ წამოდგნენ წინ აზნ. ქლენტის და გლეხის მენაბდიშვილის ქალნი შვიდი-რვა წლისანი და იგალობეს: პირველმა იგალობა „ახ, მერცხალო, მერცხალო“ და მეორემ „მთვარიანს ღამეს ძილი, ეჰა, ჩემი მკრთალია“. მეტად სასიამოვნოდ დარჩათ საზოგადოებას მათი სიმღერა, მეტადრე უკანასკნელისა, რადგან უფრო გაბედვით და სასიამოვნოდ მღეროდა. მერე გამართეს ცეკვა, ორნი ცეკვავდნენ და დანარჩენნი მღეროდნენ.

ცეკვა რომ გაათავეს, წამოდგა მოწაფე ვანო ბაინდურაშვილი, ათის წლისა, და შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „მოწყალეო თავადო, დიმიტრი ივანეს ძევ და ბატონო კნეინავ! ყოველისავე დღევანდელის ჩვენის სიხარულის მიზეზი თქვენა ბრძანდებით და ამიტომ ჩვენის კრებითურთ დიდს მადლობას გიძღვნით: ღმერთმა მოგცეთ ყოველი კეთილი ჩვენის გახარებისათვის, შვილი-შვილამდე მრავალსა, მრავალსა და მრავალსა წელსა“. ეს სიტყვა რომ დაასრულა ბაინდურაშვილმა, მოწაფეებმა ხელი-ხელს ჩაჰკიდეს და სიმღერით შემოუარეს „იოლკას“.

შემდეგ მასპინძელმა კნეინა ანასტასია რევაზის ასულმა ამილახვარისამ გამოუძახა მოწაფეები სათითაოდ და თავისის ხელით დაურიგა საჩუქრები: ზოგს უბოძა ტანისამოსები, ზოგს სხვა-და-სხვა ნივთები და სათამაშოები. ხმელი ხილი და კანფეტები ხომ

---

სა ევრეთევე ხმიანდისა უნდა ჰრგებოდა მიმტანს (პატრონს) მეორე მღვდელ-დიაკვანს და მესამე წილი სასოფლოდ იყო გადადებული...

სასანთლის ქვემოდ თავ-მოჭრილი ცხვრები და ხბორები ეყარა, იქვე გაჰიმული იდვა ერთი კურატი. საკლავის პატრონები თავ-თავიანთ ზვარას ატყავებდნენ. ხევის-ბრის ვალია „დააკურთხოს“, „დაადიდოს“, დაკლას ხოლო პატრონის გაატყაოს... პაპაჩემს ხელში სისხლიანი ხანჯარი ეჭირა. ჯერი ჩემს ყოჩზე მიდგა; მეც მივედი და მივიყვანე საკლავი; პაპაჩემმა ქუდი მომახდევინა, აღმოსავლეთისაკენ დამაყენა, საკლავის გვერდზე, ყოჩიც აღმოსავლეთისაკენ იდგა. ბერიძემ ლოცვა (დიდება) დაიწყო: „ღმერთო! დიდების მეტი და მადლობის მეტი შენ არა მოგეხსენება. ღმერთო! შენია გაჩენილი ხვნა, ხვეწნა და ღაღადება, თორო ხმელეთ ზეით ხორციელნი ხმას ვერ შემოგდებდენ.

„დიდება შენდა, ღმერთო, დიდება შენდა, კვირავ კარავიანო, დიდება შენდა, გიორგი, მუხის ანგელოზო (ლაშარის ჯვარი), დიდება შენდა, თამარო დედოფალო, ხმელეთის დამრიგებელო, დიდება შენდა საქართველოს მცველო ანგელოზო!

თქვენ გადიდოსთ ღმერთმა, გაგიმარჯოსთ; თქვენ თქვენი გამჩენი ღმერთი არ მოგიწყენსთ, არ მოგიძულებსთ, თქვენ თქვენს საყმოს ნუ მოიწყენთ, ნუ მოიძულებთ თქვენის გამჩენის ღთის მადლსა. საყმოშით შამოგხვეწნია გამიხარდი,—რასაც გულზე და მხარზე გეხვეწებოდესთ, იმ მხარზე და იმ გულზე შაეხვეწიეთ, შაინახეთ, ის წყალობა ღმერთსაც გამაუთხოვეთ, კვირასაც, თქვენი წყალობაც უყავით თქვენის გამჩენის ღთის მადლსა; პირველად წულს მაუმატეთ ამათ სახლშია, ღონე, ქონებსა, კაცსა კაცრიელობასა; მტრის ხელი აჰხადეთ, სიკვდილის ხმა გააშორეთ დაცევე დაჰფარეთ ლალის მტრისაგან, მწარე სიკვდილისაგან, თქვენი ულური მაახმარეთ, თქვენი კაბის კალთა დააფარეთ, ნურას მიჰკერძებთ ღვთისაგან გამოშვებულს სევდა-სნეულებასა; სადაც თქვენი სახელი დაიძახონ, თქვენი ულური, თქვენი მოწადმართე ანგელოზი მაახმარეთ; ამათ სახლშიით გასულს მოლაშქრეს გაუმარჯვეთ, მონადირეს ხელი მაუმართეთ; მგზავრი შინ მშვიდობით მაჰგვარეთ; წული ვინმე გთხოვოსთა, წული ღმერთსაც გამაუთხოვეთ, კვირასაცა და თქვენი წყალობაც მიეცით; გასაზდო ვინმე შამოგახვეწოსთა, გაუზარდეთ, უქნინით ეჰლიან-დავლათიანი; სნეული ვინმე შამოგახვეწოსთა, სნეულს ულხინეთ, მაურჩინეთ. ზამთარი მშვიდობის გადააყრევინეთ, ზაფხულიც დალიან-ბარაქიანი ჩამაუყენეთ, ღმერთი თქვენს ბატონობას გაუმარჯვებს; თუ მე რასმე მოხსენებას ვაკლებდე თქვენ თქვენს წყალობას ნუ დააკლებთ, თქვენის გამჩენის ღთის მადლსა. ღირსად აიტანეთ, ბატონო, ღირსად, კურთხეულადა, დაკლული ზვარაკი, დადგმული ტაბლა, დაწერეთილი სეფე, დასხმული ბარძიმი, მეშველი მწყალობელიც იქნებით, მხოიშნებელი. დიდება თქვენს ძალსა, თქვენს სამართალსა, თქვენის გამჩენის ღთისაგან. (ღმერთმა გაუმარჯოსო გაისმა ხმა) ბერიძე მობრუნდა ხალხისკენ და სთქვა: „მოგცასთ წყალობა, რაც ადიდა, რაც იხსენა, იმათმა დავლათმა, თემო, სოფელო, ქუდოსანო, მანდილოსანო!

გაათავა რა დიდება, ბერიძემ წამოაქცია ყოჩი და ჩაუყარა ყელში ხანჯარი... მზე ლაიწვერა.

— ჯარი ქენით ღოდ, ღ მღება, — გაისმა ხმა: ეირებო, თქვენ რო სცქლევთ მა ლუდს დედაკაცები რადლა გაეიწყდებათ; დასტურებმა ეხლაღა მოისვეს თავზე ხელი. ეს პაპაჩემის ხმა იყო, ბერიძე ქიფიანად იყო და თავისებურად სჭექდა; ყველა წმინდანების შესანდობარსა ჰსვამდა.

— ხალხი დაჯარდა;—ყველანი დასხდნენ, წრე გააკეთეს, დასტურებმა იტანეს წვრილად დაჭრილი ქადისა და ხმიანდის „წილობები“ ჩოხის კალთით და დაურიგეს ყველას. ხორციც ევრეთვე; მერე მოაყოლეს ლუდის რიგები.

— დედაკაცები ნუ გაეიწყდებათ, ეირებო, არკი უდედაკაცოდაც არა ვეარგივართა, გაისმა კვლავ ბერიძის ხმა.

— აი მივალ, ეს არი, რო ვერ მოიცალეთ, რა ექნით, სთქვა დასტურმა. ერთი ლუდიანის საღვინით, მეორე კალთაში გახვეულის პურისა და ხორცის კერძებით წავიდენ დედაკაცებისკენ...

ხალხი შექეიფდა, ლუდი ცივი იყო გახურებულის ქვებსა ჰყრიდნენ ლუდიანს ჩუტში, ტაგანში და იმით ათბობდნენ. ცოტა ხანს შემდეგ სიმღერაც გაჩაღდა.

ფცებ ბალღები წამოდგენ ფეხზე და ვინ ვის გაასწრობდა გაიქცენ, კვერებს ისრიანო!

სასანთლის ქვემოდ მაღლობზე პაპაჩემი იდგა და გადმოყრიდა ბალღების სანუგეშოდა კვერებს.

— აბათ, აჰათ ბალღებო! თან გადმოგვყვიროდა პაპაჩემი მრისხანედ.

ყველას გვერგო თავის წილი კვერი მხოლოდ ღვთისო დარჩა ცალიერზე, მარტო ერთი კვერი ეშოვნა და ისიც მე წავართვი იმის გაჯავრებულმა, წუხელის რომ დიდი კალმახი ერგო, ჯიბეში ჩაიდვა და იმ ღამეს საბძელში კატას შეაჭამა: კატა მიჰპარვოდა ჯიბეც გამოეჭამა და კალმახიც რასაკვირველია. ღვთისო მოჰყვა ღრიალს.

— რად ატირებ მა ბალღსა, ბიჭო, მომესმა დედაჩემის ხმა: გამაიარე წავედით შინა, დრო არი!..

მე სახქაროდ წავედ დედაჩემთან ..

— აიღე მაეც ე კვერი, რაისად გინდა?! მე შემრცხვა და შორიდამ გადაეუგდე ღვთისოს მისი კვერი. დედაკაცები ყველანი მიდიოდენ, ღამდებოდა. მე და დედაჩემიც წამოვედით სახლისკენ, უკანასკნელად-ღა მომესმა ხალხის ხმა, რომელიც მოაპლოვებულს ბინდს, საღამოს წინ უხვდებოდა:

ჩვენის ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო.
წვერში დაუსხამ ყურძენი,
საჭმელად შამოსულაო;
იმის უჭმელი ვაჟკაცა
უდროოდ გადასულაო!

პაპაჩემი მეორეს დილას ვნახე, საშინაოდ გამზადებულიყო. ჩოხა შემოკალთული წამოდგა ბანზე; კალთაში ორი ხმიანდის ნაჭერი ეხვია.

— რძალო! აბა აღარა გიდგა, ეს არი მივალ. წინ-წანაქარი თუ რამა გაქვს შანახული.

დედამ პატარა ჩარექით გამოუტანა არაყი ბერიძეს: იმან სამი ყანწი დალია. უსამოდ გველი არა კვდებაო! დალია, ჯვარი გეწეროსთო, სთქვა და გაემართა ვაჟკაცურის ნაბიჯით.

— შენც წადი მშვიდობითა, შენი კვნესა მე, გააყოლა თან დედა-ჩემმა.

დიდხანს უცქეროდი პაპა ჩემს, როცა ის ახუნის აღმართს აუდგა და წელამდე თოვლს მამაცად მიარღვევდა.

ვაჟა-ფშაველა

ბლომად დაარიგა საათის რვაზე დაიშალა საზოგადოება. საამო სანახავი იყო, როცა გარბოდნენ სახლებისკენ ალტალებულნი და მხიარულნი დასაჩუქრებულნი მოწაფენი.

დიდის მადლობის ღირსნი არიან თ. დიმიტრი ივანეს ძე ამილახვარი და მომეტებულად კნეინა ანასტასია რევაზის ასული ამილახვრისა, რადგან მიიღეს შრომა და ხარჯი „იოლკის“ გამართვისათვის და მით გაახარეს ნორჩი მოწაფენი. აგრეთვე ღირსია მადლობისა სკოლის მასწავლებელი უფალი ნებაძე, რომ ამ შესაფერს მოკლე ხანში ესე ლაზათიანად მოამზადა მოწაფენი, თუმცა კარგი იქნებოდა, რომ ცეკვის დროს „სერინკი პოპლიაში“, და „პოდხოდი კუშაი, იოლკა ბუდეთ რადა“-სთან ერთად მოწაფეებს „ჰოი და გოგონა“ და „ბერხუდოც“ ემღერათ.

დღეს წირვაზედ ეკკლესიაში დამსწრე ხალხი მოელოდდა სიამოვნებით მოწაფეების გალობას, მაგრამ, სამწუხაროდ, არ იგალობეს და დიაკვნის გალობას უნდა დასჯერებოდა. წირვას შემდეგ მასწავლებელს ვკითხე მიზეზი და აი რა პასუხი მომცა: „ჩვენ მღვდელს არ ესიამოვნება და ესე მითხრა, რომ შენი მოწაფეები ვერ გალობენ კარგადაო. წირვაზედ ჩემის მოვალეობის შესრულებას მიშლიანო. ესეც დაუმატა, რომ მე ვიცი მშვენიერი საეკკლესიო გალობაო“. იმედი გვაქვს, მასწავლებელს ბ. ნ. ნებაძეს კიდეც გაუხარდება, თუ კურთხეული მამა უფასოდ იკისრებს და ასწავლის უკეთესად გალობას.

გენო ლახვარი

## წვრილი ამბები

ჩვენშიაც ხშირია ესრედ წოდებული აკური; კაცი სრულიად საღია, მაგრამ ჩავა თუ არა მზე, მაშინვე თვალი უბნელდება და სრულიად ველარაფერსა ჰხედავს. ამის გამო, ვისაც-კი აკური აქვს, ღამე ველარ შეუძლიან სიარული, თუ სხვამ არავინ მოჰკიდა ხელი და ისე არ ატარა. ხოლო როდესაც გათენდება, კაცს ისევ უბრუნდება მხედველობა და აღარა სჭირს-რა. ეს ავადმყოფობა უფრო ჯარის-კაცთა ყაზარმებში და სასწავლებლებშია გახშირებული. ერთის გაზეთის სიტყვით, ძლიერ ადვილი ყოფილა აკურის მორჩენა. უნდა დაჰკლან ქათამი, ამოაცალონ ღვიძლი, ააგონ შამფურზე და ნაკვერჩხლებზე შესწვან, ისე-კი, რომ არ შეიხრაკოს; შემწვარი ღვიძლი უნდა გაიჭრას და გაჭრილის მხრით დასუსხულს თვალზე დაიდოს. ღვიძლი მანამდის უნდა ეჭიროს თვალებზე,ვიდრე არ გაცივდება და ლაგებითაც მაშინ უნდა დაიდოს, როცა პატარა შენელდება, რომ ქუთუთოები არ დასწვას. სოფლელებმა იციან, ღვიძლიც უნდა შეჭამოსო, მაგრამ ეს-კი ტყუილია. ღვიძლის მაგიერ შეიძლება ახლად გამომცხვარის ცხელის პურის გულიც მიიფაროს თვალებზე: ისიც ძლიერა ჰკრგებს.

— შობის წინა დღეებში ბერლინის ფოსტა დიდს გაჭირებაშია ხოლმე: აუარებელი საჩუქრები მიაქვთ აქეთ-იქით ნათესავებისა და ნაცნობებისათვის გასაგზავნად. რადგან მოხელეები ვერ ასდიან ამ საქმეს, ამიტომ ყოველწლივ 2000 ჯარის-კაცს დაიქირავებდნენ ხოლმე და იმათ აზიდვინებდნენ ფოსტაში მიღებულს გასაგზავნს საჩუქრებს. წლეულს იმპერატორმა ვილჰელმმა ბრძანება გასცა, რომ მაგ საქმისთვის ჯარის-კაცებს ნუღარ დაიქირავებთ და თუ გინდათ ისევ მუშები მიიშველიეთ, რადგან უქმეებში უსაქმოდ არიან და ველარცარას შოულობენო. ამ ბრძანებას იმპერატორ ვილჰელმისას ხალხი დიდის ამბით მიეგება.

— ამ ორის კვირის წინად ვენის ერთს სახალხო თეატრში ძლიერ შეშინდა ხალხი და დიდი არეულობა მოხდა. წარმოდგენის დროს ელექტრონის ლამპარი გასქდა და მთელს დარბაზში ნატისუსალის სუნი დატრიალდა. ხალხს მაშინვე აღრინდელი თეატრის გადაბუგვა გაახსენდა, შეშინდა და კარებს ეცა. შეიქნა ერთი ღრიალი და წივილ-კივილი. არ იცოდა ვინ ვის გაასწრობდა. თეატრის დირექტორი გამოვიდა და რისვაივაგლახით ძლივს დაამშვიდა, მოითმინეთ, ნუ გეშინიანთ, საშიშო არა არის-რა, უბრალო ლამპარი გატყდაო. ამ დროს თეატრში ბრძანდებოდა ერცჰერცოგინა სტეფანიაც და სრულიად არ შეჰშინებია. თავის სავარძელში იჯდა და ადგილიდგან არც-კი დაძრულა.

— მეტის-მეტი იღბლიანი ქალაქია ვენვა. ამას წინად ხომ ჰერცოგმა ბრაუნშვეინისამ მთელი თავისი სარჩო-საბადებელი სულ ვენვას უანდერძა და ეხლაც, როგორც გაზეთ „Temps“-ის კორესპონდენტი იწერება, გამოჩენილს მდიდარს გუსტავ რევილიოსაც ექვსი მილიონი უანდერძებია ამავე ქალაქისათვის.

# დეპეშა

26 დეკემბერი

პეტერბურგი. გუშინ პარიჟში გარდაიცვალა ჰერცოგი ნიკოლოოზ ლეიხტენბერგსკი.

შობის წინა დღეს მემკვიდრე ცესარევიჩი იმყოფებოდა იოდპურში, სადაც დიდის პატივით მიეგებნენ, და გარეულს ღორებზე სანადიროდაც ბრძანდებოდა; სამშაბათს მისი უმაღლესობა აჯიმირში მიბრძანდა.

კონსტანტინოპოლი. შობა დღეს კვლავ დაიწყეს წირვა-ლოცვა ბერძენთა ეკკლესიებში, რადგან სულთანმა როგორც იყო დაუთმო და დააკმაყოფილა მსოფლიო პატრიარქის სამართლიანი სათხოვარი.

ლონდონი. ჩრდილო-ამერიკიდგან იუწყებიან, რომ მთავრობამ განიზრახა ზღვის ძაღლების ჭერა დააშლევინოს ინგლისელებს ბერინგის სრუტეში და ამიტომ დიდი ესკადრა გაგზავნა იქაო.

ოდესა. რადგან ჩამოთბა კიდეც და ყინულსაც მეყაითად ამტვრევდნენ, ამიტომ კვლავ დაიწყო თაოსნობა.

28 დეკემბერი

პეტერბურგი. ჰერცოგ ნიკოლოოზ მაქსიმილიანის ძის ლეიხტენბერგსკის გარდაცვალების გამო უმაღლესს სასახლეში დანიშნული ბალები 21 იანვრამდის გადაიდო.

ოდესა. გუშინ ღამეს გარდაიცვალა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ნიკანორი.

პარიჟი. ჰერცოგ ნიკოლოოზ მაქსიმილიანის ძის ლეიხტენბერგსკის გვამს შაბათს გამოასვენებენ მისის ხარისხის შესაფერის პატივით.

ჩილის რესპუბლიკაში არეულობა მოხდა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ოფიციალური დისკონტი 5%-დგან 4%-მდე დასწია.

ბერლინი. გუშინ იმპერატორმა ვილჰელმმა ისადილა რუსეთის საელჩოში, სადაც რუსულ მუნდირ ჩაცმული რუსულის მარხილით მიბრძანდა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 დეკემბერი.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგდა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| უთ-მანეთიანი ოქრო | — „ | — „ | 6 87 |
| ტამოჟნის კუპონები | 136 3/4 | — „ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 07 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 237 1/4 |
| —მეორისა | 217 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 212 1/4 | — „ | 213 3/4 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | 102 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 102 | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | 93 | — „ | — |

პიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერიჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

## განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ჯეჯილი“**

გამოვა 1891 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამით, როგორც ამ წელს. ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება.

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8)

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

ამხანაგობა სარპინკის კეთების მრეწველთა

სარატოვში.

1891 წლის სეზონი.

გვაქვს ახლად-ახალი, მშვენიერი სახიანი ნაქსოვი, ესრედ წოდებული

**ს ა რ პ ი ნ კ ა,**

ვყიდით ნარდად და წვრილ-წვრილადაც რუსეთის ყველა ქალაქში გაგზავნით.

სარპინკას ნიმუშებს დავუგზავნით 15 ნოემბრიდგან ყველას, ვინც 42 კაპეიკს გამოგვიგზავნის ალბომისას.

ფასები და პირობანი ალბომშია მოხსენებული. მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ შეიძლება.

10—5

**კბილი აღარავის წამოსტკივდება**

თუ იხმარებენ

ღირსთა მამათა ბენედიქტელთ გამოგონილს ელიქსირს

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ელექსირი გამოგონილია **1373 წ.** პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

და ოქროს მენდლებით დაჯილდოებული

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.



ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და სააფთიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა ყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Séguin, Bordeaux rue Croix de Ségucy.

(208—70)

ОТКРЫТА ПОДПИСКА

**на 1891 годъ**

**НА ЖУРНАЛЪ**

**„ПРАКТИЧЕСКАЯ ЖИЗНЬ“.**

(II-й годъ изданія).

Журналъ „Практическая Жизнь“, оправдывая свое названіе, служитъ чуткимъ безпристрастнымъ откликомъ интересовъ современной дѣловой практической жизни. Редакція употребляетъ всѣ стремленія къ тому, чтобы всякій возникающій въ жизни практическій вопросъ нашелъ-бы на страницахъ журнала вѣрный себѣ отзывъ и возможно лучшее практическое разрѣшеніе.

Въ **отдѣлѣ разсказовъ, сценъ,** и проч. редакція всегда брала сюжеты изъ жизни дѣйствительной, даже почти всегда изъ самой были.

Достаточно упомянуть содержаніе статей послѣднихъ за этотъ годъ, 32 и 33 книжекъ, чтобы ясно увидѣть, *на сколько полно и всесторонне находитъ себѣ откликъ на страницахъ журнала современная жизнь.* Въ 32 и 33 книжкахъ были помѣщены слѣдующія статьи: „Мѣры къ подъему финансовъ“, «Бѣдный кредитный рубль!», „На практическихъ началахъ“, „Міру по бичевѣ, а сахарозаводчику двухмилліонный капиталъ“, „Новыя заслуги электричества“, „Русскіе піонеры“. „Столкновеніе интересовъ города и горожанъ“, „Популяризація свода законовъ“, „Гдѣ вы наши изобрѣтатели?“, „Не слишкомъ-ли много наградъ“? (по поводу нашихъ выставокъ), „О чемъ плачутъ нефтепромышленники“, „Къ развитію нашей торговли съ Персіей“, „Посредники хлѣбной торговли“, „Базарное зло“. Отдѣлъ Судебный. Библіографія и т. д. и т. д.

Стремясь къ улучшеніямъ журнала, редакція озаботилась приглашеніемъ многихъ новыхъ талантливыхъ сотрудниковъ.

Въ годъ выходитъ всего, исключая приложеній, 33 книжки.

**Въ будущемъ году предназначено къ разсылкѣ разныхъ книгъ подписчикамъ ВЪ ВИДѢ ПРИЛОЖЕНІЙ на сумму, по стоимости книгъ въ отдѣльной продажѣ, столько-же, какъ и въ 1890 г., именно на 12 р. 75 к.**

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

**съ доставкой и пересылкой**

безъ приложеній на полгода 3 рубля; на годъ 6 рублей; съ приложеніями на годъ 9 руб.

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ, въ редакціи журнала, Б. Морская, № 39 и въ МОСКВѢ, на Тверской, уголъ Садовой, д. Хомяковыхъ.

Редакторъ-издатель **Ѳ. В. Езерскій.**

Доз. цен. Тифлисъ, 28-го Декабря 1890 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, уголъ Баронской и Лорисъ-Melик. д. бр. Месхіевыхъ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.